

კითხვარი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

გთხოვთ უპასუხოთ თემატურად დაჯგუფებულ შეკითხვებს. თითოეული კითხვის პასუხი არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ არ უპასუხოთ შეკითხვებს, რომლებზეც პარტიას ჯერჯერობით არ აქვს გამოკვეთილი მკაფიო პოზიცია ან, მისივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი არ საჭიროებს ცალკე პოლიტიკის გატარებას.

COVID 19-ის პანდემიის შედეგებთან გამკლავება: ეკონომიკა და საზოგადოება

COVID 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური წესი. შემოთავაზებული შეკითხვებიდან რამდენიმე ეხება თქვენი პარტიის როგორც ეკონომიკურ, ისე ზოგად გეგმებს, მათ შორის პანდემიის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად შემუშავებულ ღონისძიებებს:

1. როგორია თქვენი პარტიის გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა? რა არის პრიორიტეტული პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტულ ინიციატივებს სთავაზობთ ამომრჩეველს?

„ლელოს“ მიზანია ქვეყანაში ძლიერი საშუალო ფენის შექმნა. დღეს დაახლოებით 60 000 ადამიანი იღებს 4000 ლარზე მეტ თვიურ შემოსავალს და წარმოადგენს ე.წ. საშუალო ფენას, რაც შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 3%-ია. „ლელოს“ მიზანია აღნიშნული მაჩვენებლის 10-ჯერ გაზრდა და რეალური საშუალო კლასის შექმნა, რათა ქვეყანას ჰყავდეს დაახლოებით 600 000 შეძლებული ოჯახი. ყველა სახელმწიფოში საშუალო ფენა წარმოადგენს ქვეყნის ხერხემალს და დემოკრატიის მყარ საფუძველს. ამისთვის:

- გავაძლიერებთ მცირე და საშუალო ბიზნესს ქვეყანაში;
- შევქმნით ინვესტიციის მოზიდვის ახალ მექანიზმებს;
- ჩამოვყალიბებთ კაპიტალის ბაზარს;
- ვაქცევთ გლეხებს მდიდარ ფერმერებად;
- საჯარო სამსახურს გავათავისუფლებთ პარტიული პოლიტიკური გავლენისა და ნეპოტიზტური მიდგომებისგან, გავხდით სტაბილურს, მაღალპროფესიონალურსა და დაფასებულს.

შემდეგი 4 წლის განმავლობაში ქვეყანას ექნება მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს 200 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა, ხოლო 5-6 წლის პერიოდში - ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის გაორმაგება. საქართველო უნდა გახდეს რეგიონული ცენტრი ფინანსების, ლოგისტიკის, ტურიზმის, განათლების, მრეწველობისა და ინოვაციების მიმართულებით. ამისთვის კი საჭიროა საშუალო და გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბება და მის მიხედვით მოქმედება. ბიზნესის ხელშეწყობისთვის:

- შეიქმნება საგარანტიო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესს გრძელვადიანი და შეღავათიანი ფინანსური რესურსით;

- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მონაწილეობით შეიქმნება საინვესტიციო ფონდი, რომელიც დააფინანსებს მცირე და საშუალო ბიზნესს;
- შეიქმნება ინოვაციების ფონდი, რომელიც ინვესტირებას მოახდენს ახალ ტექნოლოგიებში;
- გადამუშავებული პროდუქციის ექსპორტი გათავისუფლდება მოგების გადასახადისგან;
- მაღალტექნოლოგიური კომპანიები გათავისუფლდებიან გადასახადებისგან 5 წლის განმავლობაში;
- სახელმწიფო შესყიდვებში წახალისდება მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობა;
- 4 წელიწადში დასრულდება ყველა ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტი, ანაკლიის პორტის ჩათვლით;
- საქართველოს ეყოლება მცირე და ციფრული მთავრობა;
- სახელმწიფო ვალი მხოლოდ ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება;
- საჯარო მოხელეები პერიოდულად გადამზადდებიან. მათი პრემირება და დაწინაურება მოხდება შედეგების მიხედვით.

2. რა ზომების გატარებას აპირებთ როგორც შიდა, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გასაზრდელად ქვეყანაში?

შიდა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში განმსაზღვრელი როლი მიენიჭება შესაბამისი გარემოს ფორმირებას. მაკროეკონომიკური სტაბილურობა იქნება პრიორიტეტი, რათა ინვესტორებისთვის გარემო იყოს პროგნოზირებადი და სტაბილური (განსაკუთრებით მონეტარული სტაბილურობა).

ინვესტიციების წახალისების მიზნით:

- კომერციული დავების გადასაჭრელად საქართველოში დაფუძნდება ლონდონის არბიტრაჟის საქართველოს ფილიალი;
- ბიზნესომბუდსმენს აირჩევენ ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები და მას ექნება გაფართოებული უფლებები;
- გაუქმდება ფინანსური პოლიცია და ჩამოყალიბდება დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტო;
- კონკურენციის სააგენტო დაექვემდებარება პარლამენტს და გაიზრდება მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ხარისხი;
- ბიზნესთან დაკავშირებულ სხვადასხვა ნებართვაზე დაწესდება მკაცრი ვადები და იმუშავებს ერთი ფანჯრის პრინციპი;
- საგადასახადო დავებს გადაწყვეტენ ნაფიცი აუდიტორები.

საქართველოში ამოქმედდება საერთაშორისო საფონდო ბირჟა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების გეგმა, რამაც უნდა შექმნას დამატებითი რესურსები ინვესტირებისთვის.

კერძო სექტორთან და ინვესტორებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატში შეიქმნება 3 მსხვილი პროფესიული განათლების ცენტრი, რომელთა ამოცანა იქნება საინვესტიციო პროექტებში საჭირო სხვადასხვა პროფილის საკადრო რესურსით უზრუნველყოფა.

დაგეგმილი მასშტაბური სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია მნიშვნელოვანი საფუძველი გახდება ამ ობიექტებში დამატებითი ინვესტიციების მოსაზიდად.

შედარებით მცირე ინვესტორებისთვის მუნიციპალურ დონეზე შეიქმნება ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრები, რომლებიც კერძო ინვესტორების ტექნიკურ და ინფორმაციულ მხარდაჭერას განახორციელებენ. რეგიონული განვითარების სააგენტოები (სამხარეო დონეზე) მოახდენენ რეგიონის პოტენციური ბიზნესპროექტების იდენტიფიცირებას, ხელს შეუწყობენ ბიზნესპაკეტების შემუშავებასა და ინვესტორების მოზიდვას.

3. გეგმათ თუ არა კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებას და მის განხორციელებას სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების გასაძლიერებლად? თუ ასეა, გაგვიზიარეთ ამ პოლიტიკის ძირითადი ასპექტები.

დღეს ჩვენი ქვეყანა ვერ ითვისებს სოფლის მეურნეობის პოტენციალს და დიდწილად დამოკიდებულია იმპორტზე, ხოლო სახნავი მიწების მხოლოდ მეოთხედი მუშავდება. ჩვენი მიზანია ამ დარგის რეფორმირება, რომლის შედეგადაც გლეხები გახდებიან შეძლებული ფერმერები და ქვეყანას ეყოლება წელგამართული მოსახლეობა სოფლად.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საჭიროა, პირველ რიგში, მიწის ახალი რეფორმა, რაც მოიცავს:

- მიწების სრულ აღრიცხვა-რეგისტრაციას;
- მიწის ბანკის შექმნას, რომელიც გამოუყენებელი მცირე ნაკვეთების კონსოლიდირებას მოახდენს;
- სახელმწიფო მიწების სრულ განკერძოებას.

გარდა ამისა, პრიორიტეტი მიენიჭება განათლებასა და ახალ ტექნოლოგიებს. ყოველწლიურად გადამზადდება 1000 ახალგაზრდა ფერმერი, რომლებიც გახდებიან მენტორები და ვალდებული იქნებიან, შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე, მიღებული ცოდნა გადასცენ სხვებს.

ფერმერებისთვის იარსებებს თანადაფინანსების მექანიზმი ახალ ტექნოლოგიებში ინვესტირების შემთხვევაში, ხოლო ფინანსებზე წვდომა გაუმჯობესდება საგარანტიო ფონდის მეშვეობით.

სრულად აღდება სამელიორაციო ინფრასტრუქტურა და წყალურუნველყოფილი ნაკვეთების ფართობი გაორმაგდება.

ექსპორტი იქნება ჩვენი პრიორიტეტი. ამიტომაც გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია იმ პროდუქტების იდენტიფიკაცია, რომელთაც გააჩნია ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრების პოტენციალი და ხელი შეეწყობა ამ პროდუქტების წარმოებასა და ექსპორტს. ასეთი ხელშეწყობით საქართველოს აგროსასურსათო ექსპორტმა უნდა მიაღწიოს 1 მილიარდ დოლარს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბიოპროდუქტების წარმოებას, რაც უნდა გახდეს ქვეყნის სამარკო ნიშანი. საქართველომ სახელი უნდა გაითქვას, როგორც ნატურალური და მაღალი

ხარისხის პროდუქტების მწარმოებელმა ქვეყანამ. ფერმერები, რომლებიც აწარმოებენ საექსპორტო ბიოპროდუქტებს, მიიღებენ დამატებით შეღავათებს.

4. ისახავს თუ არა თქვენი პარტია მიზნად იმგვარი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ტურიზმის, მასთან დაკავშირებული სექტორებისა თუ დარგების თანადგომასა და გაძლიერებას გულისხმობს? თუ ასეა, რა პოლიტიკას გაატარებთ ტურიზმის სფეროს მხარდასაჭერად, მათ შორის მცირე (საოჯახო) და საშუალო ზომის ტურისტული მეურნეობებისთვის?

„ლელოს“ მოდელით, ტურიზმის სექტორმა უნდა შეასრულოს შიდა აგროსასურსათო წარმოების სტიმულირების, მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების გენერირების მნიშვნელოვანი ფუნქცია. ამ სექტორში პოლიტიკის ამოცანა იქნება, რომ ტურიზმიდან შემოსავლების 70% მაინც დარჩეს მომიჯნავე სექტორებში (აგროსასურსათო წარმოების სფერო, მომსახურების სფერო, ადგილობრივი ინდუსტრია და ა.შ.). ტურიზმის სექტორში დასაქმებულები ეტაპობრივად უნდა მოემზადონ მაღალბიუჯეტო ტურისტების მისაღებად და სათანადო სერვისების შესათავაზებლად, რაც ხელს შეუწყობს მაღალი გადახდის უნარის მქონე ტურისტების სეგმენტის მკვეთრ ზრდას, მონახულებული რეგიონების მიხედვით უკეთეს განაწილებას (დღეს თბილისსა და აჭარაზე მოდის 60%).

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას სახელმწიფო გაითვალისწინებს ტურისტული ადგილების (მაგალითად, კულტურული ძეგლების მიმდებარედ) რეაბილიტაციასა და სათანადო სერვისებით უზრუნველყოფას. მსხვილი ტურისტული პროექტები განხორციელდება მხოლოდ საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში, უშუალოდ ბიზნესაქტივობაში (დიდი სასტუმროს მშენებლობა და ა.შ.) სახელმწიფო ინიციატივებს არ განხორციელებს.

სახელმწიფო ჩაატარებს ეფექტიან კამპანიებს ტურისტების მოსაზიდად, მათ შორის, ღვინის ექსპორტიორებთან თანამშრომლობით (მაგალითად, ექსპორტზე გაყიდულ თითოეულ ღვინის ბოთლზე ფასდაკლების ვაუჩერული კოდის განთავსება, რომლითაც, საქართველოში ვიზიტის შემთხვევაში, სხვადასხვა მომსახურებაზე შეღავათებით ისარგებლებს). მხარდაჭერილი იქნება საერთაშორისო კონფერენციების/სემინარების ორგანიზება, გაწეული ხარჯების 20%-ის ბიუჯეტიდან უკან დაბრუნებით.

საქართველოს თითოეული რეგიონის ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენა და გამოყენება შიდა და გარე ტურისტული ბაზრის მოთხოვნების მაქსიმალურად ასათვისებლად.

ტურისტული სექტორის ოპერირებაში გაიზრდება რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლებების როლი, ტურისტული პოტენციალის მქონე ადგილების სრულად იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ბიზნესპროექტების სტიმულირების მიზნით. რეგიონებში ტურისტული პოტენციალის მქონე ბიზნესსუბიექტებისთვის იმოქმედებს მცირე გრანტების პროგრამა.

„ლელოს“ ჯანმრთელობის დაცვის სექტორის განვითარების გეგმა აგრეთვე ითვალისწინებს სამედიცინო და სარეაბილიტაციო ტურიზმის განვითარებას. „ლელოს“ სოფლის მეურნეობის

განვითარების გეგმა და რეგიონული პროექტები უზრუნველყოფს აგროტურიზმის განვითარებას. ეკოტურიზმზე სათანადო აქცენტი სწორედ მაღალმთიანი და პერიფერიული გეოგრაფიული ადგილების ტურისტულ ათვისებას ითვალისწინებს.

5. გეგმავთ თუ არა პანდემიის დროს დაწესებული საშეღავათო სისტემის შეცვლას? თუ ასეა, როგორია თქვენი გეგმა?

პანდემიის პირობებში დაწესებული საშეღავათო სისტემა, ძირითადად, უშუალოდ კრიზისულ პერიოდს უკავშირდებოდა და რამდენიმეთვიანი გეგმით შემოიფარგლება. „ლელოს“ მოდელით 2021 წლიდან უნდა ამოქმედდეს ეკონომიკის სტიმულირების ფართომასშტაბიანი გეგმა.

ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული მცირე მასშტაბის საგარანტიო ფონდის ნაცვლად, შეიქმნება 3-მილიარდიანი საგარანტიო ფონდი, რომელიც არა მარტო მოქმედ ბიზნესს დააზღვევს ფინანსურად, არამედ გაფართოებული სექტორული ბიზნესის მხარდაჭერის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ჩამოყალიბდება 2021-2024 წლებში.

ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული სოფლის მეურნეობის ფრაგმენტული მხარდაჭერის ნაცვლად, „ლელოს“ გეგმა ითვალისწინებს 2021-2024 წლებში სოფლის მეურნეობის კომპლექსურ და ფართო მხარდაჭერას, რამაც კარდინალურად უნდა შეცვალოს ამ სექტორის როლი ქართულ ეკონომიკაში.

ანტიკრიზისული სოციალური მხარდაჭერის პროგრამები პოსტკრიზისულ პერიოდში უნდა ჩამოყალიბდეს სოციალური დახმარების გამართულ სისტემად, რომელიც დაეხმარება სოციალურად დაუცველ ჯგუფებს. ამასთან, „ლელოს“ გეგმით გათვალისწინებულია ცალკეული ფულადი დახმარებების გაზრდა და ცვლილება, რომლის მიხედვით, სოციალური დახმარება მოქალაქეს არ შეუწყდება დასაქმებიდან ერთი წლის განმავლობაში.

6. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცეებში?

„ლელოს“ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მოდელი ითვალისწინებს სადაზღვევო მედიცინის პრინციპებზე გადასვლას - სახელმწიფო დააზღვევს ყველა მოქალაქეს კერძო სადაზღვევო კომპანიების გავლით.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი წამალი (მედიკამენტი). შეიქმნება წამლისა და საკვები პროდუქტების ხარისხის სააგენტო (ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული FDA-ს მსგავსი სტრუქტურა), რომელიც განახორციელებს ხარისხის კონტროლს და დანერგავს შესაბამის სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს ბაზარზე მხოლოდ მაღალხარისხიანი წამლის არსებობას. მედიკამენტების ღირებულების დიდ ნაწილს დაფარავს სადაზღვევო კომპანია (მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის ექიმის დანიშნული წამალი იქნება უფასო).

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის (ადმინისტრირების) რეფორმა. მოხდება სამინისტროს რეფორმირება და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ძირითადი ფუნქცია იქნება: კანონებისა

და რეგულაციების აღსრულების სათანადოდ უზრუნველყოფა, მოქალაქეების, სამედიცინო ორგანიზაციების, სადაზღვევო კომპანიების ურთიერთობის რეგულირება, პროფესიულ ასოციაციებთან ერთად ახალი სტანდარტების შემუშავება და დანერგვა.

პირველადი ჯანდაცვა. ყველა მოქალაქეს ეყოლება კვალიფიციური, მოტივირებული ოჯახის (პირადი) ექიმი. ოჯახის ექიმის მომსახურებაზე ხელი უნდა მიუწვდებოდეს როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობას.

ელექტრონული მედიცინის (E-Health) დანერგვის მეშვეობით ოჯახის ექიმს მიეცემა საშუალება, მოქალაქეს (პაციენტს) სპეციალისტთა კონსულტაციები დისტანციურად გაუწიოს.

სამედიცინო განათლება. შეიცვლება სამედიცინო განათლების საგამოცდო და დიპლომის მიღების სისტემა (ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული USMLE-ს მსგავსად). დაინერგება პრაქტიკულ ცოდნაზე დაფუძნებული განათლების სტანდარტი. სამედიცინო დაწესებულებებში უწყვეტი პროფესიული განათლების არსებობა სავალდებულო გახდება. რეზიდენტურა იქნება უფასო, ხოლო რეზიდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი ანაზღაურებით. სახელმწიფოს მხრიდან ხელი შეეწყობა საექთნო განათლების განვითარებას და ექთნის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებას.

7. პანდემიამ განსაკუთრებული პრობლემები შექმნა განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის მხრივ, განსაკუთრებით იქ, სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებოდა უწყვეტ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე. როგორია თქვენი გეგმა ამ პრობლემების დასაძლევად, თუკი კვლავ საჭირო გახდება სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადატანა?

სამწუხაროდ, მთავრობა ვერ გაუმკლავდა პანდემიის დროს განათლების სფეროში წარმოქმნილ პრობლემებს - მოსწავლეების დიდ ნაწილს (განსაკუთრებით რეგიონებში) არ ჰქონდათ წვდომა ინტერნეტთან და, ფაქტობრივად, მათ ჩაუვარდათ სასწავლო სემესტრი; მეორე მხრივ კი, ტელესკოლამ ვერ ჩაანაცვლა სრულფასოვნად სასკოლო პროგრამა (განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში).

მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით და პანდემიის მეორე ტალღის მოლოდინში, მთავრობას, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყო ყველა მოსწავლე ინტერნეტითა და ტექნიკით, ჩაეტარებინა პედაგოგებისთვის სპეციალური კურსები ონლაინსწავლების სპეციფიკასთან დაკავშირებით.

8. მოკლედ აღწერეთ სხვა ზომები, რომელთა გატარებასაც გეგმავთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

პოლიტიკა და ეკონომიკა

1. აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას საქართველოს კონსტიტუციაში?

საქართველოს კონსტიტუცია ვერ იქცა ერის და სახელმწიფოს შემკვრელ, გამაერთიანებელ ქვეყნის ძირითად კანონად. ეს განაპირობა არა იმდენად კონსტიტუციის ნორმებისა და მექანიზმების დაუხვეწაობამ, რამდენადაც კონსტიტუციისადმი მმართველი პარტიების დამოკიდებულებამ. საქართველოს ვერცერთი მმართველი ვერ „ჩაეტია“ კონსტიტუციის ჩარჩოებში. პირიქით, ყველამ კონსტიტუცია საკუთარ თავზე მოირგო და ძალაუფლების შემზღუდავი მექანიზმიდან იგი ძალაუფლების განხორციელების ინსტრუმენტად აქცია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კონსტიტუციასთან ყოველი შეხებით ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტი ირყეოდა.

„ლელო“, პირველ რიგში, ამ მორყეული ფუნდამენტის გამაგრებას შეეცდება. ანუ, მიუხედავად კონსტიტუციის ამა თუ იმ ნორმებისადმი დამოკიდებულებისა, ჩვენ ჯერ სრულფასოვნად ავამოქმედებთ კონსტიტუციას, გავაღვივებთ მის მიმართ პატივისცემას და მხოლოდ ამის შემდეგ ვიზრუნებთ ხარვეზების გამოსწორებაზე. ამასთანავე, ჩვენი ურყევი იმპერატივია კონსტიტუციური ცვლილებებისთვის უფართოესი პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსის უზრუნველყოფა.

2. რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გასაძლიერებლად?

„ლელოს“ უმთავრესი მიზანია, საქართველოში ჩამოყალიბდეს ისეთი სასამართლო სისტემა, რომელსაც ენდობა არა ხელისუფლება, არამედ უპირველესად - მოქალაქე; სასამართლო, რომელსაც ენდობა მოქალაქე და ემორჩილება ხელისუფლება.

სისტემა ასეთი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც გაუძლებს პოლიტიკურ წნეხს და დაიცავს ნებისმიერ პირს უსამართლო მოპყრობის, ძალადობის, დისკრიმინაციის, კანონისა და მათი უფლებების ნებისმიერი ხელყოფისგან.

„ლელოს“ მოდელი გულისხმობს:

- სასამართლოს მართვის გამჭვირვალე და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ სისტემას;
- დროულ და სამართლიან (და დასაბუთებულ) სასამართლო გადაწყვეტილებებს;
- ყველასთვის ხელმისაწვდომ სასამართლოს (ფინანსურად ხელმისაწვდომი, ასევე ადაპტირებული შშმ პირთა საჭიროებებზე).

ამისთვის აუცილებელია:

- საქართველოს პარლამენტმა შეისწავლოს და საჯარო დოკუმენტში ასახოს, როგორ მოირგო და გამოიყენა სხვადასხვა ხელისუფლებამ სასამართლო თავისი პარტიულ-პოლიტიკური მიზნებისთვის: რა საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სხვა ბერკეტები არსებობდა ამისთვის და რისგან არის დასაცავი და დასაზღვევი ახალი სისტემა; ეს აუცილებელია წარსულში დაბრუნების თავიდან ასაცილებლად;

- იუსტიციის საბჭოს ფორმირების წესის იმგვარი ცვლილება, რომ ეს მნიშვნელოვანი ორგანო აღარ აღმოჩნდეს სასამართლოს რომელიმე გავლენიანი ჯგუფის საკუთრებაში, ჯგუფისა, რომელიც მას სასამართლოს სამართავად გამოიყენებს;
- იუსტიციის საბჭოს ხელში თავმოყრილი ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებამოსილების დეკონცენტრაცია, საბჭოს გათავისუფლება პოლიტიკური ზეგავლენისგან;
- მოსამართლეთა რაოდენობის ზრდა, რის შედეგადაც მოგვარდება გადატვირთულობის და წლობით დაგვიანებული საქმეების პრობლემა;
- ახალი მოსამართლეების გამჭვირვალე სისტემით დანიშვნა, რაც უზრუნველყოფს სასამართლოში მხოლოდ პატიოსანი და მცოდნე მოსამართლეების მისვლას;
- უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოებში ყველაზე მაღალი რეპუტაციის, კვალიფიკაციისა და აღიარების მქონე პირთა დანიშვნა, მოსამართლეთა დაწინაურების გამჭვირვალე სისტემის დანერგვა;
- საქმეთა შემთხვევითი განაწილების წესზე სრულად გადასვლა გამონაკლისებისა და მანიპულაციის შესაძლებლობების გამორიცხვით;
- მოსამართლის ანგარიშვალდებულების სისტემის (დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის) რეფორმა, რათა ველარავინ გამოიყენოს ეს სისტემა მოსამართლეთა სამართავად. რეფორმამ უნდა უზრუნველყოს მოსამართლის დამოუკიდებლობა და ხელი შეუწყოს მისი ანგარიშვალდებულების განმტკიცებას;
- მოსამართლეთა განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების განგრძობადი სისტემის დანერგვა.

3. რა პოლიტიკას მიმართავთ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველსაყოფად?

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხში მთავარი გადაუწყვეტელი პრობლემა ისაა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (სუს) ქვეყნის მთავარ საფრთხედ კვლავაც ქვეყნის მოქალაქეებს თვლის და ყოველი მოქალაქის „ლუპის ქვეშ“ ყოლა მთავარ ინსტიტუციურ ამოცანად მიაჩნია. თავის მხრივ, სუს-ს ამგვარი ამოცანა მორიგ ჯერზე დაუსახა ქვეყნის მორიგმა პოლიტიკურმა ლიდერმა. ისიც, წინამორბედთა მსგავსად, თვლის, რომ მის ხელისუფლებაში დარჩენას უნდა მოემსახუროს მთელი სახელმწიფო მანქანა, რომელმაც ყველა მოქალაქე მუდმივად უნდა აკონტროლოს და არ დაუშვას „არასწორად მოაზროვნეთა“ რაოდენობის სახიფათო ზრდა. ხალხის ამგვარი მასობრივი და სისტემატური სკრინინგის პირობებში გამორიცხულია ვინმეს პირადი ცხოვრება იყოს დაცული - იგი „დაცულია“ მანამ, სანამ ვინმე არ გადაწყვეტს შეგროვებული ინფორმაციის გასაჯაროებას, ანუ მთელი ქვეყანაა დამანტაჟებული.

შესაბამისად, ადამიანის პირადი ცხოვრება დაუცველი დარჩება მანამ, სანამ საქართველოში არ დამკვიდრდება ხელისუფლების დემოკრატიული ცვლის ტრადიცია და არ დასრულდება ლიდერის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების ხალხისგან მითვისების მანკიერი პრაქტიკა.

„ლელოს“ შეფასებით, პოსტსაარჩევნო კოალიციური უმრავლესობა იქნება სახელმწიფო ორგანოების პარტიული დიქტატისგან დახსნის, მათ შორის, მოქალაქეებზე ზედამხედველობის სისტემის დანგრევის, მნიშვნელოვანი საშუალება. ჩვენ ვგეგმავთ სუს-ის ეტაპობრივ დემონტაჟს და პარტნიორი ქვეყნების გამოცდილებაზე დაფუძნებული ახალი სპეცსამსახურის ფორმირებას. გარდა ამისა, განზრახული გვაქვს სამართალდამცავ ორგანოებზე საპარლამენტო კონტროლის დაწესება პარიტეტულ საწყისებზე (თითო წარმომადგენელი თითო ფრაქციიდან) შექმნილი საპარლამენტო კომისიის მიერ, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია იქნება ადამიანის უფლებებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის საკითხების მონიტორინგი.

ამ პოლიტიკური და ინსტიტუციური ცვლილებების შემდეგ საგრძნობლად გაიზრდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად ბოლო წლების განმავლობაში დანერგილი სამართლებრივი მექანიზმებისა და პოლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტიანობა.

4. როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?

ჩვენ ზოგადად ვემხრობით რეგიონულ-პროპორციულ საარჩევნო სისტემას, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ სრული საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსენსუსი არსებობს 2024 წელს სრულად პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ჩვენ აღარ ვაპირებთ დამატებით რამე ცვლილების ინიცირებას.

5. რა გეგმები გაქვთ ზოგადად განათლების პოლიტიკის და კონკრეტულად დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის?

მოხდება საშუალო სკოლების საკადრო, ფინანსური და ლოგისტიკური დეცენტრალიზაცია. სამინისტროს დარჩება, ძირითადად, საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავების, სასწავლო პროგრამების დამტკიცებისა და ხარისხის კონტროლის ფუნქციები. შეიცვლება საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ სახელმწიფო ზედამხედველობის მიდგომა - განათლების ხარისხის კონტროლი არა სასჯელისთვის, არამედ განვითარებისთვის. სასწავლო პროგრამების შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და თანმდევი მასალის შექმნა-განვითარების პრეროგატივა გამომცემლობებს მიენიჭებათ. დაინერგება ბავშვის აღზრდა-განათლებაში სკოლისა და ოჯახის სისტემატური თანამონაწილეობის თანამედროვე ეფექტური ფორმები და მექანიზმები. თვითმმართველობებისა და ცენტრალური ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით 2024 წლისთვის ყველა მსურველი დაკმაყოფილდება სკოლამდელი აღზრდა-განათლების დაწესებულებით.

გაფართოვდება საშუალო სკოლის როლი შესაბამისი დასახლებისა და უბნის მასშტაბით - სკოლა შეიძენს კულტურული, გამაჯანსაღებელი და დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ფუნქციასაც. აღდგება უსისტემო რეფორმებისა და სკოლის პოლიტიზების გამო შელახული

პედაგოგის პროფესიული პრესტიჟი - პედაგოგი გათავისუფლდება პოლიტიკური მიზნებით ადმინისტრაციული გავლენისა და წნეხისგან (მათ შორის, საუბნო-საარჩევნო კომისიების წევრობისგან) და გაუმჯობესდება პროფესიული საქმიანობის პირობები.

დაინერგება დისტანციური სწავლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა შვილებისთვის.

„ლელოს“ საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზანია ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ევროკავშირის მასშტაბით კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადება.

წახალისდება სტუდენტებისთვის პრაქტიკული პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება. მაგალითად, შეიქმნება სამოტივაციო სისტემა, რათა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები მე-2 კურსიდან მოყოლებული მთავარ სემესტრულ თუ საკურსო ნაშრომებს არჩევდნენ კონკრეტული სახელმწიფო დაწესებულების ან კერძო კომპანიის პრაქტიკულ, რეალურ საკითხებსა და პრობლემებზე. წახალისდება აგრეთვე პროფესიული განათლების ცენტრების შექმნისა და განვითარებისთვის ბიზნესსტრუქტურების, მსხვილი ინვესტორებისა და პროფილური ბიზნესასოციაციების საქმიანობა.

დასრულდება „ოდეერებისა“ და პოლიტიკური ზედამხედველობის სხვა ინსტრუმენტების პრაქტიკა უმაღლეს სასწავლებლებში. შეიზღუდება პოლიტიკური თანამდებობების დატოვების შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავება.

6. გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს თქვენი ფისკალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები 2024 წელს.

მთავრობისა და ეროვნული ბანკის კოორდინირებული პოლიტიკის შედეგად, მოხდება ინფლაციის დადგენილი მიზნობრივი მაჩვენებლის (წლიური 3-4%) მკაცრი უზრუნველყოფა. ყოველწლიურად დადგინდება და უზრუნველყოფილი იქნება აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში განსაზღვრული ლარის გაცვლითი კურსიდან (რა კურსის საფუძველზეც ბიუჯეტი პარამეტრები იგეგმება) გადახრის ზედა და ქვედა ზღვრების (3-5%-ის ფარგლებში) მიზნობრივი მაჩვენებელი.

მშპ-ის საშუალო რეალური ზრდა წლიურად იქნება 8%. არცერთი რეგიონის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მაჩვენებლების ჩამორჩენა არ უნდა იყოს რეგიონების საშუალო მაჩვენებლის 12%-ზე მეტი.

ყოველწლიურად ეკონომიკის მთლიანი მოხმარება და სახელმწიფო მოხმარების ზრდის ტემპი არ იქნება ეკონომიკაში შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდის ტემპზე ნაკლები. ეკონომიკის შიდა დანაზოგები მშპ-თან მიმართებით ყოველწლიურად იქნება 25%-ზე მეტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კი - მშპ-ის 15%-ზე მეტი (2021-2024 წლებში, ჯამურად, 10 მლრდ აშშ დოლარი). მნიშვნელოვანი ინდიკატორი იქნება შიდა და საგარეო წყაროებით განხორციელებული ინვესტიციებით ახალი მწარმოებლური აქტივების მაღალი წილი და მეტი სექტორული

დივერსიფიკაცია, მათ შორის, სოფლის მეურნეობაზე, კვების მრეწველობაზე, გადამამუშავებელ მრეწველობაზე. ასევე, დაგეგმილია მცირე ბიზნესის სეგმენტსა და თბილისის გარეთ რეგიონებში მიმართული ინვესტიციებისა და საბანკო სესხების საშუალო წილის 2-3 ჯერ გაზრდა.

თვითდასაქმებულთა 40% გადაინაცვლებს დაქირავებით დასაქმებულთა ან დამსაქმებელთა კატეგორიაში, თვითდასაქმებულები კი მოექცევიან ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში. ოჯახების საშუალო შემოსავლები გაორმაგდება. ასევე, ჯამში, შეიქმნება 200 ათასამდე დამატებითი სამუშაო ადგილი.

2024 წლისთვის მოსახლეობის წყალმომარაგების, კანალიზაციის, სამელიორაციო სისტემის, ადგილობრივი გზების, სკოლამდელი აღზრდის, პირველადი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურით დაიფარება დასახლებების 80%-ზე მეტი და იმოქმედებს შემდგომ 2 წელში სრული დაფარვის გეგმა.

2024 წლამდე გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით საქართველო მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებს პოზიციებს და 74-ე ადგილიდან გადაინაცვლებს პირველ 40 ქვეყანას შორის. ამასთან, ცალკეული ქვეკომპონენტების მიხედვით, არცერთში არ იქნება მე-80 ადგილის ქვემოთ.

7. დასახელებული სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, თუკი ამ საკითხზე უკვე გაქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია.

საქართველოში, როგორც წარმოებაზე, ისე დაქირავებულ შრომაზე, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი გადასახადებია. გადასახადების დამატებითი შემცირებით ხელშესახებ შედეგებს ვერ მივაღწევთ. შესაბამისად, „ლელოს“ ხედვა არ ითვალისწინებს ფისკალური გადასახადების განაკვეთების სერიოზულ ცვლილებას და გეგმავს არსებული განაკვეთების საფუძველზე დასაბეგრი არეალისა და, შესაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, მისი შემდგომი ეფექტიანი გამოყენების მიზნით.

საბიუჯეტო ხარჯების ფოკუსირებული მიმართვა ინფრასტრუქტურაზე, მწარმოებლური სექტორების განვითარებაზე, გეოგრაფიული და სექტორული დისბალანსის შემცირებაზე არათუ ნეგატიურად იმოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ ხელშესახებ პოზიტიურ გავლენას მოახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე.

„ლელოს“ დეცენტრალიზაციის გეგმით, ეტაპობრივად და შესამჩნევად გაიზრდება მუნიციპალური ბიუჯეტის მიერ გაზრდილი შემოსავლების პირობებში გაწეული ხარჯები და 2024 წლისთვის გაორმაგდება, ძირითადად - კაპიტალური ხარჯების ზრდის საფუძველზე.

8. როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ?

არსებული პოლიტიკა და შეზღუდვები შესაბამისობაში იქნება სახელმწიფოს ამოცანებთან. როდესაც წყალმომარაგების სისტემაში ოჯახების 60% არის ჩართული, კანალიზაციის სისტემაში - 45%-მდე, არ გვაქვს საკმარისი გამწმენდი ნაგებობები, მყარი ნარჩენების გატანა-გადამუშავების

სისტემით ცუდადაა დაფარული ქვეყანა, სამელიორაციო ინფრასტრუქტურით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 10%-მდეა მხოლოდ დაფარული, მცირე დასახლებებს შორის ადგილობრივი გზების დიდი ნაწილი სარეაბილიტაცია, პრობლემურია ნაპირსამაგრი და სანიაღვრე სისტემები დასახლებების დიდ ნაწილში და ა.შ., ამ პრობლემების დროში გაწეილი დაბალი ტემპებით მოგვარება ამცირებს ეკონომიკური ზრდის ტემპებსაც და ინარჩუნებს ცხოვრების დონის დაბალ სტანდარტებს, განსაკუთრებით რეგიონებში. შესაბამისად, დღის წესრიგში მწვავედ დგას ამ პრობლემების ერთბაშად, ფორსირებულად გადაჭრის ამოცანა. სახელმწიფო ვალისა და ბიუჯეტის დეფიციტის პოლიტიკა უნდა პასუხობდეს ამ გამოწვევებს.

სახელმწიფო ვალი გაიზრდება მხოლოდ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისგან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით. შეიქმნება ინფრასტრუქტურული პროექტების ობიექტური შერჩევის სისტემა - ამ პროექტებმა, ფარდობითი ეფექტის თვალსაზრისით, მეტი ზეგავლენა უნდა იქონიოს მწარმოებლუნარიანობისა და ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

საკურსო რისკების შემცირების ფონზე, პრიორიტეტი აღარ იქნება საშინაო ვალის წილის ზრდა მთლიან სახელმწიფო ვალში, რადგან საშინაო ვალი, ძირითადად, არის უფრო მოკლევადიანი და მაღალი სარგებლის განაკვეთით. ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ეს საკრედიტო რესურსები უპირატესად კერძო სექტორში დარჩეს. სახელმწიფო უარს იტყვის მაღალპროცენტიანი საგარეო სესხების აღებაზე (მაგალითად, ევროზონდებზე).

ბიუჯეტის დეფიციტი შენარჩუნდება კანონით დადგენილი მშპ-ის 3%-იან ფარგლებში.

9. გაქვთ თუ არა საჯარო სამსახურის შემდგომი განვითარების/რეფორმის გეგმა? რა არის მისი პრიორიტეტები?

საჯარო სტრუქტურების, განსაკუთრებით სამინისტროების ან მათში შემავალი უწყებების, გაერთიანება-გაყოფის თემაზე დისკუსიები და ფაქტობრივი პროცესები, ხშირ შემთხვევაში, მიმდინარეობს მექანიკურად, შინაარსობრივი და ფუნქციური ანალიზის გარეშე, ფუნქციების მხოლოდ ჰორიზონტალური (ცენტრალურ უწყებებს შორის) და არა ვერტიკალური (სუბნაციონალურ დონეებზე) გადაცემის გათვალისწინებით. სამინისტროები დატვირთულია სამეურნეო, ოპერატიულ-რუტინული ფუნქციებით. შესაბამისად, შეზღუდულია თანამედროვე ტიპის სამინისტროსთვის აუცილებელი ფუნქციები და ნაკლები ყურადღება ეთმობა მათ.

სამინისტროების ფუნქციური მოდერნიზაციისა და ოპტიმიზაციისთვის ფუნქციების ნაწილი სუბნაციონალურ ხელისუფლებას გადაეცემა (საკუთარი უფლებამოსილებების ან დელეგირებული უფლებამოსილებების სახით). ასევე, განისაზღვრება ფუნქციები, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია, რომ საჯარო უწყებამ აუთსორსინგის ფორმით უფრო ეფექტიანად უზრუნველყოს. ფუნქციების ნაწილის „ქვემოთ ჩატანა“ და ნაწილის „გარეთ გატანა“ სამინისტროებს განტვირთავს საოპერაციო ფუნქციებისგან და ამის საფუძველზე შეიძლება მივიღოთ თანამედროვე ტიპის სტრატეგიულ განვითარებასა და სტანდარტების შექმნაზე ორიენტირებული სამინისტრო.

ხშირად პოპულისტურადაა წარმოდგენილი საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხარჯების თემა. „ლელი“ მოდელი ითვალისწინებს ამ საკითხისადმი სისტემურ მიდგომას. საჯარო სამსახური ჩამოყალიბდება მწყობრ, კარიერულ ზრდასა და მუდმივად კვალიფიკაციის ამაღლებაზე ორიენტირებულ სისტემად. მიუხედავად იმისა, რომ მოხდება როგორც საჯარო უწყებების, ისე ამ სისტემაში არსებული იურიდიული პირების სტრუქტურული, ფუნქციური და საკადრო ოპტიმიზაცია, შრომის ანაზღაურების ჯამური ფონდიდან ეკონომია არსებითი არ იქნება, რადგან საჯარო სამსახურში უნდა იყოს კონკურენტუნარიანი სახელფასო პოლიტიკა. შიდა და გარე კონკურსების, ატესტაციების სისტემა აღარ იქნება ფორმალური და ჩატარდება სრულიად გამჭვირვალედ. საჯარო სამსახურში აღმოიფხვრება პოლიტიზაციის ჩამოყალიბებული მავნე პრაქტიკა. პოლიტიკური ხელმძღვანელების ცვლილება (მინისტრები, მერები და ა.შ.) არ გამოიწვევს საჯარო მოხელეთა კორპუსში რყევებსა და კადრების დინებას. მოხელეთა წახალისება (პრემიები, დანამატები) დაეფუძნება წინასწარ დადგენილი ამოცანების რეალიზაციის და სხვა ობიექტურ კრიტერიუმებს და არა სუბიექტურ გადაწყვეტილებებს. პროგრამული ბიუჯეტების პროცესის რეალურად დანერგვამ საჯარო სამსახურში, ზედა დონიდან უმცირესი ქვესტრუქტურის დონემდე, უნდა უზრუნველყოს ობიექტური შეფასების ინდიკატორების მთავარ ინსტრუმენტად გამოყენება ეფექტიანობის შეფასებისთვის.

საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები

1. რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?

„ლელი“ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მოდელი ითვალისწინებს სადაზღვევო მედიცინის პრინციპებზე გადასვლას - სახელმწიფო დააზღვევს ყველა მოქალაქეს კერძო სადაზღვევო კომპანიების გავლით.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი წამალი (მედიკამენტი). შეიქმნება წამლისა და საკვების პროდუქტების ხარისხის სააგენტო (ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული FDA-ს მსგავსი სტრუქტურა), რომელიც განხორციელებს ხარისხის კონტროლს და დანერგავს შესაბამის სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს ბაზარზე მხოლოდ მაღალხარისხიანი წამლის არსებობას. მედიკამენტების ღირებულების დიდ ნაწილს დაფარავს სადაზღვევო კომპანია (მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის ექიმის დანიშნული წამალი იქნება უფასო).

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვის (ადმინისტრირების) რეფორმა.

მოხდება სამინისტროს რეფორმირება და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ძირითადი ფუნქცია იქნება კანონებისა და რეგულაციების აღსრულების სათანადოდ უზრუნველყოფა, მოქალაქეების, სამედიცინო ორგანიზაციების, სადაზღვევო კომპანიების ურთიერთობის რეგულირება, პროფესიულ ასოციაციებთან ერთად ახალი სტანდარტების შემუშავება და დანერგვა.

პირველადი ჯანდაცვა. ყველა მოქალაქეს ეყოლება კვალიფიციური, მოტივირებული ოჯახის (პირადი) ექიმი. ოჯახის ექიმის მომსახურებაზე ხელი უნდა მიუწვდებოდეს როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობას.

ელექტრონული მედიცინის (E-Health) დანერგვის მეშვეობით ოჯახის ექიმს მიეცემა საშუალება, მოქალაქეს (პაციენტს) სპეციალისტთა კონსულტაციები დისტანციურად გაუწიოს.

სამედიცინო განათლება. შეიცვლება სამედიცინო განათლების საგამოცდო და დიპლომის მიღების სისტემა (ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული USMLE-ს მსგავსად). დაინერგება პრაქტიკულ ცოდნაზე დაფუძნებული განათლების სტანდარტი. სამედიცინო დაწესებულებებში უწყვეტი პროფესიული განათლების არსებობა სავალდებულო გახდება. რეზიდენტურა იქნება უფასო, ხოლო რეზიდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი ანაზღაურებით. სახელმწიფოს მხრიდან ხელი შეეწყობა საექთნო განათლების განვითარებას და ექთნის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებას.

2. რა ინიციატივებს (თუკი ასეთი გაქვთ) სთავაზობთ მოსახლეობას სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?

ამ მიმართულებით მთავრობის არასწორი პოლიტიკისა და ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო ჩვენი თანამოქალაქეების დიდი ნაწილისთვის სოციალური დახმარება შემოსავლის ერთადერთი წყაროა. ამას ემატება ამ სფეროში არსებული უსამართლობა, გაუმჭვირვალობა, სარეიტინგო ქულების მინიჭებაში მკაფიო კრიტერიუმების არარსებობა, ბიუროკრატიული ბარიერი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა ჩამოყალიბდეს სოციალური დახმარების გაცემის სრულიად ახალი პრინციპი, ნაცვლად დღეს არსებული მანკიერი პრინციპისა, როდესაც სოციალური დახმარების სააგენტოს ეძლევა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ინტერპრეტირების საშუალება. „ლელო“ აპირებს შექმნას სამუშაო ადგილები, რაც პირდაპირ კავშირშია სოციალურად დაუცველთა რიცხვის კლებასთან. ამასთანავე, თუკი სოციალურად დაუცველი ოჯახის რომელიმე წევრი დასაქმდება, ოჯახს სოციალური დახმარება შეუნარჩუნდება ორი წლის განმავლობაში. სოციალურად დაუცველებს ექნებათ წვდომა პროფესიული გადამზადების პროგრამებზე, რომლებსაც სახელმწიფო დააფინანსებს. შეიქმნება სოციალურად დაუცველთა რეესტრი.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?

26 წლის განმავლობაში ვერც ერთმა ხელისუფლებამ საბოლოოდ ვერ გადაჭრა დევნილთა ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის საკითხი; დღეის მდგომარეობით საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში დევნილთა მხოლოდ 40%-ს გადაეცა. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აუცილებელია დამატებითი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, რათა საბოლოოდ

გადაწყდეს ეს პრობლემა. აგრეთვე, კანონით უნდა იყოს განსაზღვრული დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვადები და ის არ უნდა გადასცილდეს 2025 წელს.

დასაქმების პრობლემა ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს არა მარტო დევნილებისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ეფექტური იქნება დიფერენციაცია და დევნილი მოსახლეობისთვის დასაქმების შეთავაზება უშუალოდ მათზე მორგებული მიზნობრივი პროგრამებით.

- დაწესდეს ფისკალური პოლიტიკის ფარგლებში საგადასახადო შეღავათები ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ იმ პირთათვის, რომლებიც კერძო ბიზნესში დასაქმებენ ათეულობით დევნილს;
- ანაკლიის ქალაქის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის გამართვის დროს უპირატესობა მიენიჭება დევნილთა დასაქმებას;
- სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, დევნილებს მიეცეს პროფესიული განათლების დაუფლების საშუალება;
- სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დევნილთა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობისას პრიორიტეტად განისაზღვროს მშენებლობის პროცესში დევნილების დასაქმება.

4. რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა (რელიგიური, ეროვნული, სექსუალური და სხვ.) უფლებების ეფექტური დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?

„ლელო“ შეცვლის პოლიტიკის ვექტორს ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით - სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველად შეფასდება არა უმცირესობების წარმომადგენელთა „ზედმეტი“ პოლიტიკური აქტიურობა (როგორც ეს ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა), არამედ მათი ნაკლები ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასა და მმართველობის სისტემაში.

გაუქმდება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრო და რელიგიის საკითხთა სააგენტო. შეიქმნება სამოქალაქო თანასწორობის სააგენტო, რომელიც იმუშავებს რელიგიური და ეთნიკური თანასწორობის საკითხებზე ომბუდსმენტთან არსებული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საბჭოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ხოლო კონფლიქტების დარეგულირების კუთხით იმუშავებს სახელმწიფო მინისტრი.

შემუშავდება და დაიწყება 10-წლიანი პროგრამის განხორციელება, რომლის შედეგადაც ქართული ენის არმცოდნეთა რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის 1%-ზე ნაკლები იქნება. ეთნიკური უმცირესობებისთვის შეიქმნება მშობლიური ენისა და ლიტერატურის (აზერბაიჯანული და სომხური) მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოები.

საქართველოს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად საჯარო სკოლებში შემოვა ახალი სასკოლო საგანი - „მრავალფეროვანი საქართველო“.

რელიგიურ კონფესიებს შორის სადავო საკულტო ნაგებობების, როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, გადარჩენისა და მოვლა-პატრონობისთვის შემუშავდება ეფექტური მექანიზმები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. შემოღებული იქნება ერთიანი საგადასახადო სისტემა ყველა რელიგიური გაერთიანებისთვის.

ლგბტ პირთა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით, ასევე გამოხატვის თავისუფლებით სრულყოფილად სარგებლობა უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების ეფექტურად განხორციელების გზით.

დაიხვეწება სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობა-დისკრიმინაციის პრევენციის და ეფექტური რეაგირების მექანიზმები. დანერგული სამართლებრივი მექანიზმები და პოლიტიკა მოიცავს როგორც სამართალდაცვით, ისე ჯანდაცვის, განათლების, სოციალური დაცვის საკითხებს და უზრუნველყოფს მსხვერპლთა მრავალმხრივ დაცვას.

გაუმჯობესდება ტრანსსპეციფიკური სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა პაციენტისთვის „ზიანის მიუყენებლობის“ პრინციპების გათვალისწინებით. გენდერული იდენტობის სამართლებრივი მექანიზმები და მიდგომები შემუშავდება ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობით.

5. პარლამენტაშორისი კავშირის (IPU) მონაცემებით, საქართველო 191 ქვეყანას შორის 144-ე ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოში ქალი დეპუტატების რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც პოლიტიკაში ქალთა თანამონაწილეობის გაზრდა-გაფართოებას ეხება.

პოლიტიკური გააქტიურება. „ლელო“ შიდაპარტიულ საქმიანობაში ქალების როლის ზრდას ხელს უწყობს ქალთა საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერების ორწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად. „ლელოს“ მთავრობაში სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობების მინიმუმ 40%-ს ქალები დაიკავებენ.

საჯარო სექტორში გატარდება გენდერულად დაბალანსებული საკადრო პოლიტიკა. სამუშაოზე აყვანისა და შრომის ანაზღაურების პროცესში გენდერული დისკრიმინაცია, მათ შორის, კერძო სექტორში, აღმოიფხვრება საკანონმდებლო დონეზე.

ძალადობისგან დაცვა. გაიზრდება ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მომუშავე სოციალურ მუშაკთა რაოდენობა, ამალღდება მათი კვალიფიკაცია და გაუმჯობესდება სამუშაო პირობები. აუცილებელია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირება სასწავლო გეგმებში, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის ენებზე. გაიზრდება მსხვერპლთა სარეაბილიტაციო სერვისებზე (თავშესაფრებზე) წვდომა. კრიმინალთან ბრძოლის დაწესებულებებში დაიხვეწება პრევენციისა და ეფექტური რეაგირების მექანიზმები, მათ შორის, ფემინიციდის საქმეებში გენდერული მოტივების დადგენისა და ერთიანი სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია.

ეკონომიკური გაძლიერება. ქალების ეკონომიკური აქტიურობის ხელშესაწყობად ქალ მეწარმეთა ასოციაციებთან პარტნიორობით განხორციელდება პროფესიული განათლებისა და ბიზნესუნარების დაუფლების სპეციალური პროგრამები, აგრეთვე, საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისების მიწოდება. ქალების დასაქმებისთვის ხელშემწყობი გარემოს გასაუმჯობესებლად 2024 წლისთვის სრულად დაკმაყოფილდება მოთხოვნა ბაგა-ბაღებსა და შშმ ბავშვებისა და მოზარდების დღის ცენტრებზე.

რეგიონების განვითარების პროგრამის შესაბამისად, ახალ ურბანიზებულ ცენტრებში გათვალისწინებული ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება სოფლად მცხოვრები ქალების დასაქმებაზე ფოკუსირებით.

ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა. „ლელო“ დაამკვიდრებს სოციალური დახმარების სისტემას, რომელიც ორიენტირებული იქნება მართლმართლ დედის, მრავალშვილიანი დედის, შშმ ქალის, შშმ ბავშვის დედის არა მხოლოდ მყისიერი ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, არამედ პრობლემების გრძელვადიანი პერსპექტივით მოგვარებაზე. შშმ ქალებისა და გოგონებისთვის უსაფრთხო სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით იარსებებს გენდერულად მგრძობიარე სამედიცინო მომსახურება.

6. რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ და რას აპირებთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

„ლელოს“ ერთ-ერთი პრიორიტეტია შექმნას ბავშვზე ორიენტირებული სახელმწიფო: ეკონომიკაში, სოციალურ პოლიტიკაში, განათლებაში, ჯანდაცვასა და მართლმსაჯულებაში.

„ლელოს“ უპირველესი ამოცანაა „არც ერთი ბავშვი საცხოვრებლის და სკოლის გარეშე“, რაც 4-წლიანი კომპლექსური პროგრამით გადაიჭრება.

ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა და არასრულწლოვანთა დახმარების მიზნით და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მომზადდება სპეციალური სარეაბილიტაციო პროგრამები. არასრულწლოვანთა აზარტულ თამაშებში ჩართულობის პრევენციისთვის გატარდება შესაბამისი სამართლებრივი და ტექნიკური ზომები. დაინერგება ბავშვთა უკიდურესი სიღარიბის დამლევასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სოციალური მხარდაჭერის პროგრამები და სერვისები, რომლებიც მოერგება მუნიციპალიტეტების მიერ სიღარიბეში მცხოვრები ოჯახების აღრიცხვის შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს. გაძლიერდება შშმ ბავშვების სახელმწიფო პროგრამები და სერვისები - გაუმჯობესდება სპეციალურ დღის ცენტრებში ბენეფიციართათვის შესაბამისი სერვისების მიწოდების ხარისხი.

ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების პრევენციისთვის გაძლიერდება სოციალური მუშაკის ინსტიტუტი, რადგან სწორედ ამ რგოლს ეკისრება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენა და კანონით განსაზღვრული ღონისძიებების ჩატარება. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით ოჯახში ძალადობასა და ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები ინტეგრირდება სასწავლო გეგმებში. ეთნიკური უმცირესობით

დასახლებულ რეგიონებში ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული პროგრამები განხორციელდება შესაბამის ენაზე.

განათლების სისტემაში, ძირეული რეფორმების ფარგლებში, დაიხვეწება მანდატურის სამსახურის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები, რასაც ასევე დაემატება ბავშვთა და არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ეფექტური პროგრამები.

შილად აყვანის პროცედურასთან დაკავშირებით, აღმოიფხვრება ყველა ის ხარვეზი, რაც გაშვილების პროცესში ბავშვის ფსიქოლოგიურ მომზადებასა და მისი უფლებების სრულ დაცვას უზრუნველყოფს.

ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად შემუშავდება სამოქმედო გეგმა „**სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ**“.

სრულფასოვნად ამოქმედდება „არასრულწლოვანთა კოდექსი“ და მართლმსაჯულების სისტემა მოერგება ბავშვის ინტერესების საუკეთესოდ დაცვას.

7. როგორია თქვენი თვალსაზრისი ქვეყნის კულტურის პოლიტიკის შესახებ?

სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირებისთვის საჭიროა პოლიტიკისა და ეკონომიკის გვერდით თანაბრად გაიზარდოს კულტურის, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრესი, ღირებულებრივი გამაერთიანებლისა და საერთაშორისო დონეზე დიალოგის წარმართვის ძირითადი ინსტრუმენტის როლი.

კულტურის სფერო ფინანსების განკარგვისას მთავრობისგან მოიპოვებს მაქსიმალურ დამოუკიდებლობას. დარგი დაფინანსდება მხოლოდ კონკურსების გზით და ფონდების მეშვეობით, შეიქმნება სარეზერვო ფონდები ეროვნული მნიშვნელობის კულტურული პროცესების მდგრადობისთვის, ხელს შევუწყობთ კულტურის დარგში ახალგაზრდა თაობისთვის ქვეყნის შიგნით სამუშაო ადგილების შექმნას და მათი გადინების პრევენციას, ვიმუშავებთ კულტურის დარგისთვის ალტერნატიული, მდგრადი დაფინანსების წყაროების შექმნაზე (კანონი ფილანთროპიის/ქველმოქმედებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ, გადასახადების პოლიტიკის გადახედვა და სხვ.).

ხელს შევუწყობთ კულტურის ინდუსტრიების, შემოქმედებითი და ინოვაციური მეწარმეობის მდგრად განვითარებას, ახალი ბაზრების ათვისებას, გავზრდით მათზე ხელმისაწვდომობას. გავაიოლებთ შემოქმედებით ინდუსტრიებში ჩართულობას კულტურის სფეროს ნებისმიერი ასაკობრივი და სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის, შშმ პირებისთვის, საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფისთვის, ქალებისთვის, ლგბტ თემის წარმომადგენლებისთვის. ყოველივე ამის შედეგად გაჩნდება კულტურის სფეროს დამატებითი, ეკონომიკურად მომგებიანი სივრცე, რომელიც, სამუშაო ადგილების შექმნისა და შემოსავლის ზრდის გარდა, იმთავითვე იქნება დემოკრატიული, სათანამშრომლო გარემოს პრეცედენტი, როცა ყველა მონაწილე თანაბარუფლებიანი და მაქსიმალურად რეალიზებულია.

კულტურული მემკვიდრეობა, მისი მოვლისა და მართვის პოლიტიკა საჭიროებს განახლებას როგორც ცნებითი კატეგორიების დონეზე, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მხრივ, რაც ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

დაინერგება კულტურის, განათლების, მეცნიერების, ეკონომიკის, ახალი ტექნოლოგიების, ტურიზმისა და ბიზნესის სინქრონული განვითარების სისტემა, როგორც ცხოვრების დონისა და ადამიანური კაპიტალის მუდმივი ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობა.

გატარდება, ერთი მხრივ, დაბალანსებული სახელმწიფო პოლიტიკა ერთიანი სამოქალაქო იდენტობის განვითარებისა და, მეორე მხრივ, კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების ინტერესების ჰარმონიზაციისთვის.

8. გთხოვთ დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

ამ სფეროში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ „მოვასწართ“ ყველაფრის განადგურება და გვაქვს მოსავლელიც, გადასარჩენიც და აღსადგენიც. ეკოლოგიური და ფიზიკური სისტემების სტაბილურობისთვის საჭიროა მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარება ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციით ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან.

დიდი ჰესების მშენებლობა დაექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ევროპულ სტანდარტს, რომელიც ძალაში შესვლამდე გამოქვეყნდება საყოველთაო, მათ შორის, საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების განსახილველად. საკანონმდებლო საქმიანობაში, რეგულაციური ზემოქმედების ანალიზის ფარგლებში, სავალდებულო გახდება ყოველი ახალი კანონპროექტის გარემოზე ზემოქმედების ანალიზი. ხელი შეეწყობა: განახლებადი ენერჯის ფართოდ გამოყენებას; ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებას; წყლისა და ნარჩენების მენეჯმენტის გაუმჯობესებას; ქალაქებში მწვანე ნარგავების კვოტების დადგენას; მწვანე საფრის აღდგენასა და ახლის გაშენებას; დაცული ტერიტორიების სისტემის გაძლიერებას; კერძო სექტორისთვის სამოტივაციო სისტემების შექმნას და სხვა.

სიჯანსაღესთან ერთად საჭიროა საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა. შეიქმნება სტიქიური მოვლენების პროგნოზირების, თავიდან აცილების, მათთან გამკლავების, მოსახლეობის ინფორმირებისა და განათლების ეფექტური სისტემა, რომელიც დღეს უწყებრივ ლაბირინთებშია ჩაკარგული.

ცხოველთა დაცვის პოლიტიკის არქონის გამო საქართველოში სულ უფრო იზრდება მიუსაფარ ცხოველთა რაოდენობა, მძიმდება მათი მდგომარეობა, იზრდება საფრთხე მოსახლეობისთვის და მახინჯდება საზოგადოების აღქმას ცხოველთა მიმართ. წლების განმავლობაში უსახლკარო შინაური ცხოველების მექანიკური განადგურების მანკიერი პრაქტიკა პრობლემას უფრო ამძიმებს.

ხელი მოეწერება შინაური ცხოველების დაცვის ევროპულ კონვენციას და მიღებული იქნება კანონი „შინაურ და მიუსაფარ ცხოველთა შესახებ“. საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში მოეწყობა თავმესაფარი, რომელიც მიუსაფარ ცხოველთა ვაქცინაციას, სტერილიზაციას, კასტრაციასა და მკურნალობას უზრუნველყოფს.

პატრონები ვალდებული იქნებიან დაარეგისტრონ თავიანთი ცხოველი შინაურ ბინადართა ბაზაში და იზრუნონ მათზე. ცხოველთა გამრავლების უფლება შემდგომ გასხვისების მიზნით ექნებათ მხოლოდ ლიცენზირებულ პირებს. საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაინერგება სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა ცხოველთან მოპყრობის შესახებ. გამკაცრდება სანქციები ცხოველთა მიმართ ძალადობასა და არასათანადო მოპყრობაზე.

9. აპირებთ თუ არა სპეციალური პოლიტიკის გატარებას, რის შედეგადაც ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება გაუმჯობესდება?

თანამედროვე ცხოვრების პირობებში ავტოსატრანსპორტო საშუალება ყოველდღიური მოთხოვნილების საგანია და არა ფუფუნების ან პროფესიული საქმიანობის, როგორც ეს თუნდაც ორიოდ ათეული წლის წინ იყო. აქედან გამომდინარე, ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უნარ-ჩვევების ცოდნა ყოველი ახალგაზრდისთვის თითქმის ისევე აუცილებელი ხდება, როგორც კომპიუტერთან მუშაობა. ამიტომაც „ლელო“ საზოგადოებას სთავაზობს, 2021-2022 სასწავლო წლიდან საშუალო სკოლების მე-12 კლასის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული იყოს მართვის მოწმობის ასაღებად საჭირო თეორიული და პრაქტიკული კურსის გავლა, ხოლო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში 17 წლის ახალგაზრდებს გადაეცემათ მართვის მოწმობა.

ამ სპეციფიკური სასკოლო კურსის ორგანიზებაში საკონტრაქტო საფუძველზე ჩაერთვებიან კერძო კომპანიები, ხოლო ხარჯებს სახელმწიფო დაფარავს, ისევე როგორც ფარავს საშუალო სკოლაში ფიზიკის ან ისტორიის სწავლების ხარჯებს. ბუნებრივია, ამ კურსის ფარგლებში შევა საგზაო უსაფრთხოების წესების სწავლებაც, რაც საქართველოში ქვეითად მოსიარულეებისთვის არანაკლებ საშიში საქმეა, ვიდრე მძღოლებისთვის. შედეგად, მივიღებთ გაცილებით უფრო კვალიფიციურ დაწვევებ მძღოლებს, მართვის მოწმობის მიღება აღარ დაუკავშირდება დამატებით ორგანიზაციულ პრობლემებს და დროის ხარჯვას, ხელმოკლე ოჯახები მიიღებენ მნიშვნელოვან ფინანსურ შედეგს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ხელი მოაწერა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას, ჯერ კიდევ არ არის შეტანილი შესაბამისი ცვლილებები კანონში „საგზაო მოძრაობის შესახებ“ იმისთვის, რომ ამალდეს საქართველოში მოქმედი საგზაო მოძრაობის სტანდარტები, მათ შორის, უსაფრთხოების მიმართულებითაც. აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად შემუშავდება კომპლექსური გეგმა საქალაქო და საქალაქთაშორისო მგზავრთა გადაყვანის სისტემის მოსაწესრიგებლად და უსაფრთხოების გასაზრდელად.

10. შემუშავებული გაქვთ თუ არა პოლიტიკური პოზიცია, რათა ხელი შეუწყოთ სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას?

დღევანდელ საქართველოში სამოქალაქო სექტორის განვითარების გზა გადის მრავალპარტიული თვითმმართველობის დამკვიდრებაზე. აქტიური მოქალაქეობრივი სულისკვეთების მასობრივად გავრცელების (რაც მხოლოდ რეალური თვითმმართველობით მიიღწევა) და იდეების თავისუფალი ბაზრის გარეშე (რაც მხოლოდ მრავალპარტიულობით მიიღწევა), არასამთავრობო ორგანიზაციების უდიდესი უმრავლესობა თვითდასაქმების სოციალური ფუნქციით თუ შემოიფარგლება.

ამ ორი მიზნის მიღწევას, მცირერიცხოვან პარტნიორებთან ერთად და მოკლევადიანი პარტნიორობის პირობებში, თავად სამოქალაქო სექტორი უკვე 30 წელია ამოდ ცდილობდა საქართველოში.

ვერ დაინახო ეს რეალობა, ვერ გაიაზრო არასამთავრობოების როლი და შესაძლებლობები, სამოქალაქო სექტორის მხარდაჭერის ნაცადი გზებისა და მეთოდების ინტენსიფიკაციაზე ორიენტირება დიდი ბიუროკრატიული შეცდომა იქნებოდა. სამწუხაროდ, დღეს თავად სამოქალაქო სექტორის იდეაა გადასარჩენი და ამის გარეშე სამოქალაქო სექტორის ტექნიკური, ინსტიტუციური და ფინანსური გაძლიერების მცდელობა მხოლოდ კრახის სიმწვავეს გაამძაფრებს.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პოლიტიკა უნდა კონცენტრირდეს მოთხოვნის გაზრდაზე - თვითმმართველობა და მრავალპარტიულობა, მრავალპარტიულობა და თვითმმართველობა არის ჩიხიდან თავის დაღწევის გზა. სწორედ თვითმმართველობას შეუძლია გახდეს სამოქალაქო სექტორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პარტნიორი, რომელიც მას გააძლიერებს და საზოგადოების ფუნქციონირების სხვა სფეროებშიც ახალ სიტყვას ათქმევინებს.

ჩვენთვის მიუღებელია სამოქალაქო საზოგადოების ღია თუ ფარული დისკრედიტაციისა და მარგინალიზაციის პოლიტიკა.

„ლელი“ ხელს შეუწყობს პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში სამოქალაქო საზოგადოების ეფექტურ ჩართულობას, ხელისუფლების გახსნილობას სამოქალაქო საზოგადოების მიმართ და მუდმივ დიალოგს. ჩვენ სამოქალაქო საზოგადოებას ვუყურებთ როგორც პარტნიორს მნიშვნელოვანი რეფორმების პროცესში.

საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები

1. გთხოვთ განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. როგორ აპირებთ მათ რეალიზაციას?

„ახალი საგარეო ფილოსოფია“

ჩვენ გვაქვს ახალი საგარეო ფილოსოფია - საგარეო პოლიტიკის ეფექტიანობა იზომება იმით, თუ რამდენად კარგად ემსახურება საგარეო პოლიტიკა საშინაო პოლიტიკის ინტერესებს, პირველ რიგში კი, ადამიანთა დაცულობასა და კეთილდღეობას. ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიზანია საქართველოს საუკეთესო ეროვნული ინტერესებისა და საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობის დაცვა.

საგარეო პოლიტიკა იწყება არა გარეთ, არამედ ქვეყნის შიგნით. მაქსიმალური საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად, უმნიშვნელოვანესია სწორი ქვეყნის შენება კონსოლიდირებული დემოკრატიული ინსტიტუტებით, ჯანსაღი და მზარდი ეკონომიკით, სტაბილური პოლიტიკური სისტემით, სოციალური დაცულობით, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ეფექტიანი სისტემებით, რეფორმირებული მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი სისტემებით. სწორედ ამ საშინაო მიზნების აღსრულებით იწყება სწორი საგარეო პოლიტიკის წარმოებაც, რადგან მხოლოდ სწორი პოლიტიკური სისტემებისა და შინაარსის მქონე საქართველოს შეუძლია როგორც თავისი ღირსეული ადგილის დამკვიდრება საერთაშორისო ასპარეზზე, ისე აუცილებელი საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება.

„პროაქტიური საგარეო პოლიტიკა“

საქართველოს დღემდე არ გააჩნია პროაქტიური საგარეო კურსი; იგი მიჰყვება დინებას, მაგრამ ვერ ქმნის თავის სუვერენულ საგარეო პოლიტიკურ კურსს. ჩვენი მიზანია, საქართველო გახდეს სახელმწიფო თავისი სუვერენული საგარეო პოლიტიკითა და ინტერესებით. საქართველომ უნდა დაიმკვიდროს კუთვნილი ადგილი არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, არამედ ფართო რეგიონის საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში. დღეს საქართველო, ძირითადად, პრობლემებთან ასოცირდება; ამის ნაცვლად, საქართველომ უნდა შეძლოს და გახდეს პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი ხელის შემწყობი. მათ შორის, როგორც სამხრეთ კავკასიის მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ცენტრმა, საქართველომ უნდა იტვირთოს აქტიური როლი რეგიონალური მშვიდობის უზრუნველყოფის პროცესში.

პროაქტიური საგარეო ფილოსოფიის კვალდაკვალ, „ლელო“ განსაკუთრებულ ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, მიაპყრობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ახალ ძალისხმევას, დავამყარებთ უფრო ფართო მეტ და ქმედით ურთიერთთანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, პირდაპირი ურთიერთობა გვექნება რუსეთის გავლენაში მოქცეულ რისკ-ჯგუფის ქვეყნებთან საქართველოს ეროვნული ინტერესების ლობირებისთვის. ამასთანავე, ვიზრუნებთ, რომ შეიქმნას ახალი ინტერსახელმწიფოებრივი ფორმატი საქართველოს დეოკუპაციის ხელშესაწყობად.

2. რომელ ქვეყნებთან/ქვეყნების გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა თუ თანამშრომლობის დამყარებისა და განმტკიცებისთვის? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

საქართველოს სწრაფვა ევროპული ერების ოჯახში ადგილის დამკვიდრებისკენ არც გარედან თავსმოხვეულია და არც ამა თუ იმ ხელისუფლების ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებას; თავისი კულტურით, ცნობიერებითა და იდენტობით საქართველო ევროპული ქვეყანაა, რომელიც ძალდატანებით იყო ხოლმე მოწყვეტილი მშობლიურ ცივილიზაციურ გარემოს.

დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკისა და დიპლომატიის უმთავრესი მიღწევა, მიუხედავად ცალკეული ზიგზაგებისა, მათ შორის ბოლო წლებშიც, ევროატლანტიკური კურსის

მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფაა. შედეგად, დღეს საქართველო თავისუფალი (დასავლური) სამყაროს შემადგენელი ნაწილია კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ნებისმიერი სხვა კუთხით და ელის მომენტს, როცა ეს მდგომარეობა ფორმალიზდება ნატოსა და ევროკავშირში წევრობით. ამ მომენტის მოახლოება კი აუცილებელია როგორც მრავალმხრივ, ისე ორმხრივ ფორმატებში შესაძლებლობების მთელი სპექტრის გამოყენება-განვითარებით.

თუმცა, გეოპოლიტიკურ პროცესებში გამოკვეთილი ძირითადად უარყოფითი ტენდენციების გამო, უახლოესი წლები არ იქნება მარტივი; განსაკუთრებით რისკიანია ეს წლები მომცრო სახელმწიფოებისთვის, რომლებზეც ავტომატურ რეჟიმში არ ვრცელდება კოლექტიური უსაფრთხოების რომელიმე სისტემის (ჩვენს შემთხვევაში - ნატოს) გარანტიები. უსაფრთხოების ამგვარი უკმარისობის კომპენსირება შესაძლებელია შიდა და გარე რესურსების მაქსიმალური მობილიზებით. ამისთვის „ლელოს“ ექნება აქტიური საგარეო პოლიტიკა - „ახალი ჰორიზონტი - 2030“:

- აშშ-ის მნიშვნელობა საქართველოსთვის სრულიად უნიკალური რჩება - სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია საუკეთესო პლატფორმაა ორმხრივი სარგებლიანი ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისთვის;
- ჩვენ პროაქტიურად მოვითხოვთ: „ევროპული პერსპექტივის“ აღიარებას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისგან - ეს არის ასოცირებული ქვეყნის სტატუსი; აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში საქართველოსთვის გამოყოფილი დაფინანსების ზრდას; საქართველოს მოქალაქეების ევროპის შრომის ბაზარზე სრულფასოვანი დაშვების შესახებ საუბრის ინიცირებას;
- „ლელო“ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს გერმანიასთან თანამშრომლობას; პოლიტიკური, კომერციული და კულტურული კავშირების გაღრმავებას ბალტიისა და სკანდინავიის ქვეყნებთან, ვიშეგრადის ოთხეულთან; ინტენსიური კავშირების დამყარებას იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, სინგაპურთან, ინდონეზიასთან;
- საქართველო დაიკავებს კონტინენტაშორისი მოთამაშის როლს. ანაკლიის პორტის ისტორიული მნიშვნელობის პროექტის წარმატებით დასრულება უზრუნველყოფს ევროპა-აზიის სავაჭრო კორიდორის შექმნას და საქართველოს სამხედრო, ეკონომიკური და დიპლომატიური კალიბრის მნიშვნელოვნად გაზრდას რეგიონში.

3. რა საკითხებს ანიჭებთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების რეალიზაციის პროცესში?

ევროკავშირი ამჟამად რთულ მდგომარეობაშია, რადგან ერთგვარად მოუმზადებელი შეხვდა სხვადასხვა მხრიდან, მათ შორის - შიგნითაც, ერთდროულად გაჩენილ ისეთ გამოწვევებს, როგორცაა: პუტინისეული რევიზიონიზმი/რევანშიზმი, მიგრანტთა მოზღვაება, ბზარები ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში, ბრექსითი, პოპულისტების შემოტევა მარჯვნიდან თუ მარცხნიდან, კორონავირუსის ეპიდემიით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური პრობლემები და ა.შ. ამგვარი ვითარება ბუნდოვანს ხდის ევროკავშირში საქართველოს

გაწვევრიანების კალენდარს, რაც, ასევე სამომავლოდ, გადაავადებს გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობის შესაძლებლობას.

თუმცა, საქართველოს მხრიდან გონივრული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ერთგვარი კომპენსაციის მიღებაც შეიძლება. ჯერ ერთი, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება (თავისუფალი ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტითურთ) უზარმაზარ რესურსს შეიცავს, რომლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ჯერჯერობით ათვისებული. ევროპულ კავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი მექანიზმის სრულყოფილად გამოყენების მიზნით, აუცილებელი იქნება მუშახელისა და მეწარმეების რეკვალიფიკაცია, თანაინვესტირება, ევროპული ბაზრის სტანდარტების მისაღწევად სახელმწიფოს მასტიმულირებელი პოლიტიკის შემოღება და ექსპორტის წახალისება.

4. რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის უმნიშვნელოვანესი მიღწევაა ერთდროულად ჩვენს ორივე სამხრეთკავკასიელ მეზობელთან (აზერბაიჯანი და სომხეთი) პარტნიორული, დინამიკურად განვითარებადი ურთიერთობების შენარჩუნება, რაც არაა იოლი ამოცანა ყარაბაღის გამო მოუგვარებელი კონფლიქტის პირობებში. საქართველომ სტაბილურად კარგი ურთიერთობები დაამყარა ყველა ახლო თუ შორეულ მეზობელთანაც (ერთის გამოკლებით) და შეიძინა კეთილმეზობლობასა და თანამშრომლობაზე ორიენტირებული, გახსნილი სახელმწიფოს რეპუტაცია. იგი მოსახერხებელ მოედნად იქცა არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის, არამედ განსხვავებული ცივილიზაციის წარმომადგენელთა კონტაქტებისთვის ბიზნესის, კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და ხელოვნების სფეროებში. საქართველოს საკომუნიკაციო-სატრანზიტო ფუნქცია, მათ შორის ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროში, როგორცაა ენერჯეტიკა, აქცევს მას შეუცვლელ პარტნიორად როგორც მის აღმოსავლეთით, ისე დასავლეთითა და სამხრეთით მდებარე ქვეყნებისთვის. გეოგრაფიულ მდებარეობასთან შერწყმული მისი გახსნილობა განსაზღვრავს საქართველოს მნიშვნელობას ვრცელი (და ჭრელი) არეალისთვის. თუმცა საქართველოს „რბილი ძალის“ პოტენციალი ჯერ კიდევ გამოუყენებელია და მისი რეალიზების მიმართულებით მუშაობამ გააზრებული და სისტემატური ხასიათი უნდა შეიძინოს საერთო ეროვნულ დონეზე.

თავის მხრივ, საქართველოს „საჭიროება“ მრავალი მეზობლისთვის ზრდის მისი უსაფრთხოების ხარისხს, რადგან აგრესია საქართველოს წინააღმდეგ სხვებსაც დააზარალებს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ 2008 წელს რუსეთის არცერთმა მოკავშირემ მხარი არ დაუჭირა მას და დღემდე არცერთს არ უღიარებია აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი.

იმავედროულად, საქართველოს ძალუმს თავისი წვლილის შეტანა შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. 2008 და 2014 წლებში, შესაბამისად საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შედეგად, ძალთა ბალანსი შავ ზღვაზე დაირღვა და მისი უსაფრთხოების საკითხი აქტუალური გახდა ნატოს ფორმატში. სამწუხაროდ, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის ჩაგდებათ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ თითქმის გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს. პორტი მაინც

ამენდება და უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობასა და უსაფრთხოების განმტკიცებაში, მაგრამ დაიკარგა რამდენიმე ძვირფასი წელიწადი, რამაც რუსეთს კონტროლების მიღების საშუალება მისცა.

ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა

1. თქვენი თვალთახედვით, როგორი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

„ქართული ოცნების“ არცერთი პრემიერ-მინისტრის ყურადღების ფოკუსში სათანადოდ არ მოქცეულა უსაფრთხოების პრობლემატიკა; ვერც მოქმედმა და ვერც მისმა წინამორბედმა პრეზიდენტმა მოახერხა ვითარების გამოსწორება ხან კონსტიტუციური პრობლემების და ხანაც მთავრობის არაკონსტრუქციულობის გამო. შედეგად, მივიღეთ პარადოქსული ვითარება: ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში ხან ორი პარალელური ორგანო არსებობდა (უშიშროების საბჭო და უსაფრთხოების საბჭო), შემდეგ ორივეს გაუქმება გადაწყდა (კონსტიტუციის ახალი რედაქციით გათვალისწინებული „თავდაცვის საბჭო“ ფიქტიური და უსარგებლო ორგანოა, რადგან მხოლოდ ომიანობის დროს იკრიბება, ანუ მაშინ, როცა ურემი გადაბრუნდება) და ბოლოს, პრემიერ-მინისტრთან შეიქმნა დიდწილად პიარული დანიშნულების ორგანო. რაკი უწყებათაშორისი კოორდინაცია სათანადოდ არაა აწყობილი, პასუხისმგებლობა კი გაბნეულია და უსაფრთხოების სფეროში ზოგი ფუძემდებლური დოკუმენტი უმოწყალოდ მოძველებულია (მაგალითად, 2011 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია), კანონმდებლობა დახვეწა/პარამონიზებას, ხოლო მთლიანად უსაფრთხოების სისტემა გამართვას მოითხოვს.

უსაფრთხოების პრობლემატიკამ უნდა დაიმკვიდროს ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი ხელისუფლების დღის წესრიგში. მოკლე დროშია აღსადგენი კონსტიტუციური სტატუსის მქონე უსაფრთხოების საბჭო, რომელიც იქნება მუდმივმოქმედი ორგანო, მისი აპარატის შესაბამისი საკადრო/საექსპერტო, საინფორმაციო და სხვა სახის უზრუნველყოფით. უსაფრთხოების სფეროში კანონმდებლობის მოწესრიგების შედეგად უნდა გამოირიცხოს ფუნქციების დუბლირება და პარალელიზმი, მკაფიოდ დადგინდეს და გაიმიჯნოს კომპეტენციები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, ხარისხობრივად გაუმჯობესდეს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო და სამოქალაქო კონტროლი. სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები პერსონალურად და სისტემატურად უნდა მონაწილეობდნენ წვრთნებსა და იმიტაციურ ვარჯიშებში, რათა შეიძინონ ექსტრემალურ (საგანგებო და საომარი მდგომარეობა) და არაორდინარულ (ე.წ. ჰიბრიდული ომის გამოვლინებები) ვითარებაში გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღება-აღსრულების უნარ-ჩვევები. მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოების სისტემა უნდა აიგოს ნატოს საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე საქართველოს ადგილმდებარეობის, მისი ტერიტორიების ნაწილის ოკუპაციის, საყოველთაო და სპეციფიკური რისკისა და გამოწვევების გათვალისწინებით.

2. როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია?

ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკა და ორგანიზაცია მაქსიმალურად იქნება სინქრონიზებული ნატოს და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის სისტემებთან და მექანიზმებთან. „ლელოს“ თავდაცვის კონცეფცია დაემყარება პრინციპს: გონივრული მინიმუმი ყაზარმებში მშვიდობიანობის დროს - აუცილებელი მაქსიმუმი ბრძოლის ველზე ომის დროს. შესაბამისად, თავდაცვითი ომისთვის არა მხოლოდ შეირაღებული ძალები, არამედ მთელი სახელმწიფო მანქანა იქნება მზად და იბრძოლებს. ქვეყნის თავდაცვა დაეფუძნება თავდაცვის ძალებში ნებაყოფლობითი პროფესიული სამხედრო სამსახურის სისტემას, ერთი მხრივ, და სამშობლოს დაცვის კონსტიტუციური ვალდებულების ყველას მიერ შესრულებას, მეორე მხრივ.

ეტაპობრივად გაუქმდება სავალდებულო სამხედრო სამსახურის დღეს მოქმედი მანკიერი სისტემა, რომელიც ვერც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ამაღლებს და ვერც ახალგაზრდებში აღვივებს პატრიოტიზმს. მეტიც, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ავლენს თავის მანკიერ თვისებებს და თვალთმაქცობს, უნივერსიტეტებში კურსზე შეგნებულად ჩარჩენისა და ყალბი ღვთისმსახურების ჩათვლით. პირველ ეტაპზე (2021-2022) 6-თვიანი სამხედრო სამსახური სავალდებულო გახდება მხოლოდ თავდაცვის ძალებში. მეორე ეტაპიდან (2023 წლიდან), როდესაც მზად იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საქართველოს დაცვის კონსტიტუციური ვალდებულების მოხდა დაეკისრება 18-27 წლის ასაკის ორივე სქესის ყველა შრომისუნარიან მოქალაქეს. საკუთარი არჩევანით ახალგაზრდა გაივლის 6-თვიან სამხედრო სამსახურს თავდაცვის ძალებში ან 6-თვიან პროფესიულ სტაჟირებას თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ქვედანაყოფებში, რის შემდეგაც იგი ჩაირიცხება თავდაცვის რეზერვში.

გაღრმავდება თანამშრომლობა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან კიბერუსაფრთხოების საკითხებში და კიბერდანაშაულთან ბრძოლაში. შემუშავდება მტრული ძალების მხრიდან დეზინფორმაციასთან ბრძოლის კომპლექსური პროგრამა. სახელმწიფო მმართველობაში დაინერგება სტრატეგიული კომუნიკაციის სისტემა საინფორმაციო შეტევების პრევენციისა და ეფექტური მოგერიებისთვის. ხელი შეეწყობა სამოქალაქო განათლებას მოზღვავებულ საინფორმაციო ნაკადებში ორიენტაციის მიმართულებით. მედიასაშუალებებისა და საინფორმაციო სააგენტოების დაფინანსების წყაროები გახდება სრულად გამჭვირვალე.

ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებისთვის დღეს არსებული დახმარება გაიზრდება 5-ჯერ. ვეტერანი უფროსი ოფიცრების გამოცდილება უკეთ იქნება გამოყენებული თავდაცვის პოლიტიკის განხილვის, შემუშავებისა და განხორციელებისას. საცხოვრებლის გარეშე დარჩენილი ვეტერანები 2024 წლიდან უზრუნველყოფილი იქნებიან სოციალური საცხოვრისით - ვეტერანთა სახლებით.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?

შექმნილ ვითარებაში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შესაძლებელი იქნება არა ეროვნული ან რეგიონული, არამედ გლობალური ძალთა ბალანსის ცვლილების პირობებში. ეს ცვლილება არის ცივილიზაციის მორიგი კანონზომიერება და იგი გახსნის გზას გამთლიანებისკენ. ჩვენი ამოცანაა, ამ ცვლილების მომწიფებასა და გზის გახსნას მაქსიმალურად მომზადებული შევხვდეთ, რათა გამთლიანების ობიექტურად რთულ პოლიტიკურ, ადამიანურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სტრუქტურულ ასპექტებს წარმატებით გავუმკლავდეთ.

„ლელოს“ პოლიტიკის პრიორიტეტები იქნება: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სახელმწიფო სტრატეგიის დახვეწა, მასზე ფართო პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა და სახელმწიფო პოლიტიკის მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფა; დემოკრატიული სამყაროს მიერ არაღიარების პოლიტიკის შენარჩუნება; საზოგადოებაში რაციონალური სახელმწიფოებრივი მიდგომების დამკვიდრება და სტერეოტიპების დაძლევა, ურომლისოდაც მომავალი შერიგება შეუძლებელი იქნება; ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის განათლების, დასაქმებისა და წარმატების მიღწევის იმაზე უკეთესი ალტერნატივების გაჩენა, რასაც რუსეთი სთავაზობს, მათ შორის, ევროკავშირთან ასოცირების და ვიზა ლიბერალიზაციის შედეგად გაჩენილ შესაძლებლობებზე მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა; ჟენევის ფორმატის ხელშეუხებლად აფხაზეთთან და ოსებთან თემატური დიალოგის რაც შეიძლება მეტი ფორმატის გაჩენა; ოკუპაციის ხაზებს მიღმა მცხოვრები მოქალაქეების სავაჭრო-სამეწარმეო ურთიერთობის წახალისება.

ანაკლის ღრმაწყოვანი პორტისა და მასთან დაკავშირებული მასშტაბური პროექტების განახლება უმნიშვნელოვანესი პლატფორმა გახდება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში გარღვევის მოსახდენად. უნდა გვახსოვდეს, რომ გამთლიანება მოგვიწევს აფხაზეთის იმ თაობებთან, რომელთა მოტივაციებში ნაკლებად იგრძნობა წარსულ-ემოციური („თვალცრემლიანი შეხვედრა ბავშვობის მეგობრებთან, ვისთანაც ხიდი ჩაგვიტყდა“) და მეტია მომავალ-რაციონალური („უკეთესი გარემო ინდივიდუალური და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ინტერესების რეალიზებისთვის“).

აუცილებელია ისეთი ნაბიჯების გადადგმაც, რაშიც ხელს ვერანაირი ოკუპანტი ვერ შეგვიშლის და რაც გამთლიანების სახელმწიფო პოლიტიკის ურყევობის მკაფიო დემონსტრირება იქნება. ასეთ ნაბიჯად მიგვაჩნია სახელმწიფოებრივი ზრუნვა საქართველოს მეორე სახელმწიფო ენაზე - აფხაზურზე. მაგალითად, სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს დაევალებათ მნიშვნელოვანი ოფიციალური დოკუმენტებისა და ინფორმაციის აფხაზურ ენაზე გავრცელება. ხელი შეეწყობა ლიტერატურული ნაწარმოებების აფხაზურ ენაზე თარგმნას.

4. რა ნაბიჯებს გადადგამთ იმისთვის, რომ უკეთ დაიცვათ ქვეყანა „მცოცავი ოკუპაციისგან“?

2020-2024 წლებში „ლელოს“ მთავარი მიზანია საერთაშორისო ასპარეზზე არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება და ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენა.

- „ლელო“ შექმნის ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური პირდაპირი დიალოგის იმგვარ სტატუს-ნეიტრალურ ფორმატებს, რომლებიც უზრუნველყოფს საჭიროებებზე ორიენტირებულ საუბარს ეკოლოგიის, ჯანდაცვისა და განათლების საკითხებზე;
- საქართველოზე ობიექტური ინფორმაციის მიწოდებისა და რუსული პროპაგანდის განეიტრალების მიზნით შეიქმნება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი; კერძოდ - რუსულენოვანი ტელევიზია, რომელიც, გარდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთისა, ჩრდილოეთ კავკასიას და, შესაძლოა, მთლიანად პოსტსაბჭოთა რუსულენოვან სივრცეს დაფარავს;

- განსაკუთრებულ პირობებში შრომის გათვალისწინებით - გალისა და ახალგორის რაიონების პედაგოგებსა და სამედიცინო პერსონალს, დანარჩენ საქართველოში მომუშავე კოლეგებთან შედარებით, 20 პროცენტით მაღალი ხელფასი დაენიშნებათ;
- გალისა და ახალგორის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა, ისევე როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სხვა ჯგუფები, უფასო სამედიცინო მომსახურებით ისარგებლებენ;
- გაძლიერდება ზრუნვა მეორე სახელმწიფო ენაზე - აფხაზურზე;
- საოკუპაციო ხაზის გასწვრივ დამონტაჟდება ვიდეოთვალთვალის სისტემა.